თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2012 წლის 5 ნოემბრის სხდომის ოქმი #6

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 28, სტუდენტები – 7, სულ – 36 წევრი.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობის განახლების შესახებ

   /ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე/

2. ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ოპტიმიზაციის შესახებ

   /ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურის დამტკიცება *(დანართი #1)*

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

4. სამაგისტრო პროგრამის ,,ეკონომიკა" კურიკულუმში ტექნიკური ხარვეზის ჩასწორების შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

5. მოწვეული პერსონალისთვის კვირეული დატვირთვის მაქსიმალური მოცულობის განსაზღვრის შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2012–2013 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება *(დანართი #2)*

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

7. აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

8. მიმდინარე საკითხები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა აკაკი ხელაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობის განახლების შესახებ

/ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე/

მომხსენებელმა ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ როგორც მოგეხსენებათ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის შედეგად საჭირო გახდა ფაკულტეტის საბჭოს განახლებული შემადგენლობისა და უფლებამოსილების ცნობა. ამიტომ კენჭი უნდა ვუყაროთ საკითხს ფაკულტეტის საბჭოს განახლებული შემადგენლობისა და უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ი. მესხიამ, სრ. პროფ. ქ. მარშავამ, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 36;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ცნობილ იქნას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის განახლებული საბჭოს უფლებამოსილება.

მოისმინეს: ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ოპტიმიზაციის შესახებ

/ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე/

მომხსენებელმა ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა აკაკი ხელაძემ საბჭოს გააცნო ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის სასწავლო კურსების სადავო წინაპირობების შესრულების საკითხის განხილვის მიზნით შექმნილი

კომისიის (ბრძანება #133/01-01. 11.10.2012) ანგარიში, რომელშიც მოცემულია შემდეგი რეკომენდაციები:

1. *ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ადმინისტრაციამ, გამონაკლისის წესით, საკუთარი ადმინისტრაციულ-ფინანსური რესირსებით მისცეს სტუდენტებს უფლება გაიარონ განცხადებაში მითითებული საგნები (თუმცა არ არის რეკომენდირებული სასწავლო პროგრამის სტრუქტურის დარღვევა);*
2. *ტურიზმის საერთაშორისო სკოლა დაექვემდებაროს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტრუქტურას;*
3. *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა შესაბამისი გადაწყვეტილებით მიმართოს აკადემიურ საბჭოს;*
4. *ტურიზმის საერთაშორისო სკოლის დებულება შესაბამისობაში მოვიდეს თსუ წესდებასა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებასთან.*

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ქ. მარშავამ, სრ. პროფ. ს. გელაშვილი, სრ. პროფ. დ. ნარმანია, სრ. პროფ. ნ. ხადური, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილი, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილი, სრ. პროფ. ი. მესხია, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა,

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 36;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: 1. გათვალისწინებულ იქნეს კომისიის მიერ შემოთავზებული რეკომენდაციები;

2. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნულ საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურის დამტკიცება *(დანართი #1)*

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

მომხსენებელმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურის შესახებ. ქალბატონმა ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი ელექტრონული ფოსტით წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს განსახილველად. შენიშვნები ამ საკითხთან დაკავშირებით არ მიგვიღია.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა, ასოც. პროფ. ნ. კაკულიამ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 36;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა.

მოისმინეს: სამაგისტრო პროგრამის ,,ეკონომიკა“ კურიკულუმში ტექნიკური ხარვეზის ჩასწორების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

მომხსენებელმა ქალბატონმა ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის ბატონ ე. მექვაბიშვილის სამსახურებრივი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში (თსუ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის

დადგენილება #57/2011 (კოდიფიცირებული)) აღმოჩნდა ტექნიკური ხარვეზი სასწავლო დისციპლინების სტატუსის მითითებაში: სასწავლო დისციპლინების „დანახარჯები-სარგებლის ანალიზის“ და „ეროვნული ეკონომიკები მსოფლიო ბაზარზე“ სილაბუსებით სასწავლო კურსების სტატუსი სავალდებულოა, მაგრამ სასწავლო გეგმაში მითითებულია, როგორც არჩევითი. მიღებულია თანხმობა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან (22206/02, 10.09.2012) კურიკულუმში ჩასწორების განხორციელების შესახებ შესაბამისი პროცედურების დაცვით.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილმა, ასოც. პროფ. მ. ნაცვალაძემ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 36;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: 1. შევიდეს შესაბამისი ცვლილება სამაგისტრო პროგრამის „ეკონომიკა“ კურიკულუმში და სასწავლო კურსებს „დანახარჯები-სარგებლის ანალიზი“ და „ეროვნული ეკონომიკები მსოფლიო ბაზარზე“ მიეთითოს სავალდებულო კურსების სტატუსი.

2. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს შესაბამისი ცვლილების დამტკიცება.

მოისმინეს: მოწვეული პერსონალისთვის კვირეული დატვირთვის მაქსიმალური მოცულობის განსაზღვრის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

მომხსენებელმა ქალბატონმა ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში გადაისინჯა მიმდინარე სემესტრში მოწვეულ პერსონალზე განაწილებული საათების რაოდენობა. აღმოჩნდა, რომ მოწვეული პერსონალის დიდ ნაწილის სემესტრული საათების

რაოდენობა 200-დან 435 საათამდე მერყეობს, რაც ჩემი აზრით, სასწავლო პროცესის ხარისხზე უარყოფითად აისახება. ამიტომ შემოვდივარ წინადადებით, განისაზღვროს მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი.

აზრი გამოთქვეს:

სრ. პროფ. დ. ნარმანიამ - უნდა მოხდეს გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება, აღნიშნული მიმართულებით მუშაობენ სრ. პროფ. მ. ტუხაშვილი და ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძე ვთხოვოთ მათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოგვაწოდონ გარკვეული რეკომენდაციები.

ამავე დროს, უნდა დაითვალოს საათების ზუსტი რაოდენობა, გამოცხადდეს კონკურსი, მიებას ბიუჯეტს და ვფიქრობ ეს პრობლემას მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებით დაარეგულირებს.

სრ. პროფ. გ. ღაღანიძე - როცა ერთი სპეციალისტია, ამიტომ გამონაკლისის სახით შეიძლება.

სრ. პროფ. ნ. თოდუა - ეს პრობლემა არ იქნება, თუ საგნებისა და საათების რაოდენობა შესაბამისობაში იქნება შტატებთან, აუცილებელია მოხდეს ოპტიმალური თანაფარდობა.

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - მე მესმის თქვენი, რომ ეს პრობლემა გლობალურია, ჩემთვის კი ეს საკითხი ხარისხთანაა მიბმული.

ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე - ვიზიარებ ბატონი ნარმანიას მოსაზრებას, სრ. პროფ. მ. ტუხაშვილს და ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძეს ვთხოვოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეიმუშავონ და მოგვაწოდონ რეკომენდაციები.

შტატებთან დაკავშირებით პრობლემა კარგია რომ დაემთხვა ბიუჯეტის განხილვის პროცესს და შესაბამისად, მოხდება ამ საკითხის მოწესრიგება. ჩემი როგორც დეკანის პოზიციაა, რომ უნდა შევიკრიბოთ და გადავწყვიტოთ შტატებთან დაკავშირებული პრობლემები ბიუჯეტთან მიმართებაში.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 36;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ეთხოვოს სრ. პროფ. მ. ტუხაშვილს და ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეიმუშავონ და მოგვაწოდონ გარკვეული სახის რეკომენდაციები.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2012–2013 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება *(დანართი #2)*

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

ქალბატონმა ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2012–2013 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა ელექტრონული ფოსტით წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს გასაცნობად.

აღნიშნული მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამაში „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ (მილევადი) ცვლილების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/

ქალბატონმა ე. ლეკაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ტურიზმის საერთაშორსო სკოლის დირექტორის წერილი #1070/01-72. 5.11.2012 წ. რომელშიც აღნიშნულია, რომ ინგლისურენოვანი პროგრამა „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ (მილევადი) ხორციელდებოდა უნივერსიტეტში მოქმედი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამების

სასწავლო კურსების გადაკვეთაზე. სასწავლო კურსის „ევროპის კულტრული მოზაიკა“ შეთავაზება ხორციელდებოდა ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის „ევროპისმცოდნეობა“ ფარგლებში. ამ უკანასკნელმა განიცადა ცვლილება და სასწავლო კურსი „ევროპის კულტრული მოზაიკა“ ჩანაცვლდა სასწავლო კურსით „ევროპის ისტორია“. აუცილებელია, აღნიშნული ცვლილების გათვალისწინება ინგლისურენოვან პროგრამაში „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ (I სემესტრი).

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. მ. მარგველაშვილმა, ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილმა,

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 36;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

1. შევიდეს ცვლილება ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის *„ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ (მილევადი)* კურიკულუმში და სასწავლო კურსი *სასწავლო კურსი „ევროპის კულტრული მოზაიკა“ ჩანაცვლდეს სასწავლო კურსით „ევროპის ისტორია“.*
2. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს შესაბამისი ცვლილების დამტკიცება.

მოისმინეს: დოქტორანტ ნინო ლომიძის (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა), მერაბ ხოხობაიას (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა), გიორგი გაფრინდაშვილის (ეკონომიკის სადოქტრო პროგრამა) სწავლის საფასურზე შეღავათის შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა, სრ. პროფ. თ. შენგელიამ, ასოც. პროფ. ე. მექვაბიშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 36;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: დოქტორანტ ნინო ლომიძეს (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა), მერაბ ხოხობაიას (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა), გიორგი გაფრინდაშვილს (ეკონომიკის სადოქტრო პროგრამა) სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს 50%-ით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ა. ხელაძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: ხ. ბარბაქაძე